

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №19/04
2018 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმა, წარდგენის ვადა და ბუღალტრული აღრიცხვის წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმატის და მისი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 9 ოქტომბრის №278 ბრძანება.

მუხლი 3

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამ ბრძანების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების წარმოებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება თებერვლის თვის საანგარიშგებო პერიოდიდან.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმა, წარდგენის ვადა და ბუღალტრული აღრიცხვის წესი

მუხლი 1

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად და იხელმძღვანელოს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი გეგმით (დანართი N2).

მუხლი 2

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პასუხისმგებელია ანგარიშგების უტყუარობაზე, ინფორმაციის სრულად და განსაზღვრულ ვადებში წარდგენაზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას საჯაროობის პრინციპი.

მუხლი 3

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) ყოველთვიურად უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საქართველოს ეროვნულ ბანკში როგორც უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: MFI-Reports@nbg.gov.ge, ამ წესით დადგენილი ფორმით (დანართი №1), არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

ბ) ყოველკვარტალურად საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბალანსი, მოგება/ზარალის უწყისი და ინფორმაცია მფლობელებისა და ადმინისტრატორების შესახებ ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

გ) ყოველკვარტალურად უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მოზიდული სახსრებისა და



გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციის ამ წესის დანართი №4-ის შესაბამისად წარდგენა ელექტრონულ ფოსტის შემდეგ მისამართზე: MFI-Reports@nbg.gov.ge, ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

დ) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად და ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 ივნისამდე საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) მიხედვით და რომლის აუდიტიც განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ISA) შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №221/04 - ვებგვერდი, 08.10.2018წ.

